„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...“ ლადო ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ივლისი. 2020 * (5)62

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მიმდინარე წლის 14 ივლისს, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მამუკა მელიქიძის თავმჯდომარეობით გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს:

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 ივნისის №26 12 განკარგულებაში „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 ივნისის №29 12 განკარგულებაში „ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ა(ა)ი.პ „ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრისთვის“ გადაცემაზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ტექნიკური ხარვეზის შესწორების შესახებ;

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ დეპუტატებს მიაწოდა ინფორმაცია:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ჭობარეთში, ძველში, ორგორაში, საყუდაბელში, ოშორასა და იდუმალაში გაზმომარაგების პროექტების განხორციელების შესახებ;

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე 2020 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების (№29 -დან №34-ის ჩათვლით, №36-დან №71-ის ჩათვლით და №73-დან №77-ის ჩათვლით, – სულ 47 ხელშეკრულება) შესახებ, რის შემდეგაც სხდომა დახურულად გამოცხადდა.

მაკა ბერიძე

„ავერსმა“ ადგილი შეიცვალა

მეტად სასიამოვნო ფაქტია, რომ „ავერსის“ სათაო ოფისი დღენიადაგ ზრუნავს მომხმარებელთა თანამედროვე მოთხოვნების დონის გაუმჯობესებას და მომსახურების კულტურის ამაღლებას. ამიტომაცაა, რომ რეგიონებში განთავსებული მისი თითოეული ფილიალი სისტემატურ მოდერნიზებას განიცდის და სრულად აკმაყოლებს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს. მიუხედავად იმისა, რომ არც აქამდე აკლდა ასპინძაში განთავსებულ „ავერსის“ აფთიაქს მომსახურების დონე და იგი მოსახერხებელ ადგილზეც იყო განთავსებული, ახლახან ფირმის მესვეურებმა ამ მიმართებით მომსახურების დონის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით შეარჩიეს უფრო მოსახერხებელი და უსაფრთხო ადგილმდებარეობა და მისი ახალი ოფისი დაბა ასპინძაში, თამარის ქუჩის პირველ ნომერში ევროპულ დონეზე გარემონტებულ შენობაში გადაიტანეს, რაც მნიშვნელოვანი ფაქტია და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების ნათელი დასტურია.

ასპინძაში მნიშვნელოვანი ობიექტი აშენდა

სულ ახლახან, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის კიდევ ერთი ახალი შენობა გაიხსნა. დღეიდან, ასპინძის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მედპერსონალი მუშაობას ახალ სამუშაო გარემოში გააგრძელებს.

ახალი შენობა საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმა-

რების ცენტრის დირექტორმა, ავთანდილ თალაკვაძემ, სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო-რწმუნებულ ბესიკ ამირანაშვილთან და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერთან – როსტომ მაგრაქველიძესთან ერთად გახსნა.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცენტრი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სპეციფიკის გათვალისწინებითაა დაპროექტებული და ადგილზე პერსონალისთვის სამუშაო და მოსასვენებელი ყველა პირობაა შექმნილი. ამ დრომდე, ასპინძის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მედპერსონალი ყოფილი რაიონული საავადმყოფოს ძველ, შეუფერებელ შენობაში იყო განთავსებული, სადაც თანამშრომლებისთვის არავითარი პირობები არ არსებობდა.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის უკვე 23-ე ახალი ადმინისტრაციული შენობაა გახსნილი და ამჟამად კიდევ 30 ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს.

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისთვის ადმინისტრაციული შენობებით უზრუნველყოფის პროექტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად ახორციელებს. პროექტი ქვეყანაში გადაუდებელი დახმარების ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით კომენტარების გაკეთება ვთხოვეთ აღნიშნული ცენტრის მენეჯერს ქალბატონ ნუნუ ბერიძეს. აი რა გვიამბო მან:

„სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ასპინძის რაიონული სამსახურის ახალი შენობა, სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, გათვალისწინებულია სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის სპეციფიკა. ცენტრის ყველა თანამშრომელს აქვს შესაფერისი სამუშაო პირობები და გარემო, რაც ძველ შენობაში ნამდვილად სანატრელი გვქონდა, ფაქტიურად დარღვეული იყო ყველა მოთხოვნა, რაც ამ სისტემის გამართული მუშაობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

სამსახური ორ ბრიგადიანია. ბრიგადები დღეში საშუალოდ ასრულებენ 10-12 გამოძახებას, მიუხედავად უმაღლესი სამედიცინო პერსონალის კვალიფიციური კადრების ნაკლებობისა. გასული წლის მაისში სამსახურს გადაეცა მაღალი გამავლობის ავტო-

მანქანები და სრულად გაახლდა ავტოპარკი. მანქანები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, მედიკამენტებით. პანდემიასთან დაკავშირებით სამსახურს აქვს ყველა დამცავი საშუალებები – ერთჯერადი ნიღბები, ბახილები, ქუდები, ფარები და სრული ეკიპირების ფორმები.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დაბაში მიუხედავად სასმელი წყლის ნაკლებობისა, ობიექტი უზრუნველყოფილია წყლის 24 საათიანი მომარაგებით, გამართულად მუშაობს სველი წერტილები და მომსახურე პერსონალს თავისუფალ დროს შექმნილი აქვს დასვენების ნორმალური პირობები.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს და, განსაკუთრებით, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, პერსონალურად მის მერს როსტომ მაგრაქველიძეს მშენებლობის პროცესში გაწეული დახმარებისათვის.“

თანამედროვე სტანდარტების დონეზე აშენებული და ექსპლოატაციაში შესული ეს ობიექტი იმის დასტურია, რომ ქვეყანაში მოსახლეობის ნორმალური სამედიცინო მომსახურების მიზნით მიზანმიმართული მუშაობა მიმდინარეობს, რაც, ცხადია, მოსახლეობის დიდ კმაყოფილებას იწვევს.

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სუბსიდიას მიიღებენ ფიზიკური და იურიდიული პირები რომლებსაც დარეგისტრირებული აქვთ საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. სუბსიდიის ოდენობა განისაზღვრა 200 ლარით 1 ჰექტარ მიწაზე; 0,25 ჰექტრიდან 1,25 ჰექტრამდე ნაკვეთის მესაკუთრეს შესაძლებლობა ექნება დარიცხული აგროქულებით შეიძინოს სასუქები, მცენარეთა დაცვის და მოვლის ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებები, სათესლე და სარგავი მასალები, ხოლო 1,25 ჰექტრიდან 10 ჰექტრამდე და მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები, გარდა ზემოთ მითითებულ მომსახურებისა, შეძლებენ მიწის აგროტექნიკური სამუშაოების შესრულებას.

ამავე გეგმის ნაწილია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელისთვის დიზელის საწვავის შეღავათიან ფასად შეძენა. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0,25 ჰექტრიდან 100 ჰექტარ მიწის ნაკვეთის მფლობელი ფიზიკური და იურიდიული პირები შეძლებენ შეღავათიან ფასად დიზელის საწვავის შეძენას. საწვავის ლიმიტი 1 ჰექტარზე 150 ლიტრით განისაზღვრა.

პროგრამის განხორციელება 2020 წლის 20 მაისიდან ხორციელდება, რომელიც ხელს შეუწყობს პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას, რაც სასურსათო უზრუნველყოფასა და პროდუქციის თვითღირებულებაზე დადებით ასახვას ჰპოვებს.

მიმდინარე პერიოდისათვის სოფლისა და სოფლის განვითარების სააგენტოს ასპინძის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მიერ გაცემულია 592 ბენეფიციარზე 4804 ლიტრი დიზელის საწვავის ფასდაკლების ბარათი 148 030 ლიტრის მოცულობით 995 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე.

ტარიელ ხიხალაშვილი,
ასპინძის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

საქველმოქმედო ღონისძიება

ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო, სამცხე-ჯავახეთის განვითარების ცენტრი „World Vision''-ის ფინანსური მხარდაჭერითა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტში უკიდურესად გაჭირვებულ 60 ოჯახს სასურსათო ამანათები და ჰიგიენური საშუალებები გადაეცა.

საქველმოქმედო ღონისძიებაში სამცხე-ჯავახეთის განვითარების ცენტრი თანამშრომლებთან ერთად, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, მერის მოადგილე ლევან ბერიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია მოსახლეობის სახელით მადლობას უხდის სამცხე-ჯავახეთის განვითარების ცენტრი „World Vision''-ის ხელმძღვანელობას და თანამშრომლებს თანადგომისთვის.

გარე განათებები სოფლად

ჩვენი გაზეთის მკითხველები, ალბათ, სისტემატურად აქცევენ ყურადღებას იმ ფაქტს, რომ თითქმის ყველა ნომერში ვაშუქებთ მუნიციპალიტეტში განხორციელებულ (და განხორციელებულ) ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე, რომლებიც მთლიანად უცვლიან იერსახეს როგორც დაბას, ასევე სოფელსაც. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სასოფლო გზების პრობლემა მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში გადაწყდა და ამ პრობლემის მოხსნის შემდეგ კიდევ სხვა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება სტაბილურად დაიწყო და მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბითაც მიმდინარეობს. ამჟამად სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხიზაბავრაში, ოშორასა და დამალაში გარეგანათებების ქსელის მოწყობის სამუშაოები დაიწყო, რომელიც ამ სოფლების თითქმის ყველა ძირითად უბანს მოიცავს.

აღნიშნულ სამუშაოებს შპს „ქსელმშენი'' ასრულებს.

ლაშიხევის განახლებული ხიდი

სოფელი იდუმალა ერთ-ერთი ლამაზი სოფელია ასპინძის მუნიციპალიტეტში, თუმცა იყო დრო, როცა მისი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის არავითარი მნიშვნელოვანი ღონისძიებები არ ტარდებოდა, სოფლის ბევრ დასახლებულ ადგილზე კი უამინდობისას თითქმის შეუძლებელიც კი იყო ფეხით მისვლა, მხოლოდ ცენტრიდან სასოფლო კლუბამდე თუ იყო შესაძლებელი კეთილმოწყობილი გზით სარგებლობა. უკანასკნელ ხანებში გარკვეული ძვრები შეინიშნება მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, კერძოდ, სოფლის კეთილმოწყობის მიზნით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში აქტიურად დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ახლახან კი სოფლის შემოვლითი გზის მიმართულებით, ცენტრალურ საავტომობილო გზასთან, უახლეს დამაკავშირებელ მონაკვეთზე დასასრულს უახლოვდება – ე.წ. ლაშხევის ხიდის მშენებლობა, რომელიც სულ მალე შევა ექსპლოატაციაში და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის მოთხოვნებს. ხიდის სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს შპს „უტა - 2015''.

მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები

რამდენიმე ათეული წელია რაც ექსპლოატაციაშია შესული ნაქალაქევის საჯარო სკოლის შენობა, თუმცა ამ სკოლაში ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა სველი წერტილების გამართული მუშაობა, რის გამოც სისტემატურად გამოითქმებოდა საყვედურები როგორც პედაგოგების, ასევე მოსწავლეთა მხრიდან.

პრობლემის მოხსნის მიზნით შესაბამისმა სამსახურებმა გაითვალისწინეს რა შექმნილი მდგომარეობა, გამოიძებნა საშუალება იმისათვის, რომ აღნიშნულ სკოლაში დაწყებულიყო მისი სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „კოკა-2010'', რომლის სახარჯთაღრიცხო ღირებულება 40 200-მდე ლარს შეადგენს.

განსაზღვრული ვადებში დამთავრდება

მეტად უჩვეულოდ წარიმართა გასული სასწავლო წელი. ალბათ, ვერც ვერავინ წარმოდგენდა მსგავს მოვლენებს, თუმცა ცხოვრება ჩვეული რიტმით მაინც მიდის. ეს არცაა გასაკვირი. „კორონა-ვირუსის" პანდემიის მიუხედავად, მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები მაინც ხორციელდება.

არ ვიცით ხვალ, ზეგ, როგორ წარიმართება სასწავლო პროცესები მთლიანად საქართველოში, მაგრამ მუდმივ მზადყოფნაში მაინც უნდა ვიყოთ, რომ ახალ სასწავლო წელს მომზადებულები შევხვდეთ. ასეა სოფელ ნიჯგორის მაგალითზეც, რაც იმაში გამოიხატება, რომ აქტიურად მიმდინარეობს სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები და, ალბათ, განსაზღვრულ ვადებში დამთავრდება გათვალისწინებული სამუშაოები, რომელსაც აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია ,,კოკა-2010" და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 40 700-მდე ლარია.

ოთელებს ყურადღებას არ აკლებენ

თითქმის 40 წელი გვაშორებს იმ დღიდან, როდესაც, მთავრობის დადგენილებით, მაღალმთიანი აჭარის რეგიონებიდან ასპინძის რაიონში მოხდა მოსახლეობის გეგმიური ჩამოსახლება, მათ შორის სოფელ ოთაში და, დღეს, ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობენ როგორც გასული საუკუნის 40-იან წლებში ჩამოსახლებული იმერლები და მთიულები,, ასევე აჭარელი მოსახლეობა და მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ.

40 წელი არცთუ ცოტა დროა, მაგრამ, მიუხედავად დროთა სიმრავლისა, დღემდე აქაურ მოსახლეობას იშვიათად თუ გამოუთქვამთ პრეტენზიები მათი ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნისათვის. თუმცა ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით რამდენიმე წელია ასპინძიდან ოთამდე მობეტონებული იქნა ამ გზის მთელი მონაკვეთი, ხოლო წლეულს, მიუხედავად „კორონა ვირუსის" პანდემიისა, არც ერთი წუთით არ შეჩერებულა მუშაობა და ე.წ. „ოთის ქვედა დასახლებაში" აქტიურად მიმდინარეობს შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები – კერძოდ ასფალტო-ბეტონის გზის დაგება. აქვე, გზის აღნიშნულ მონაკვეთზე, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ იცვლება ასპინძის სასმელი წყლის მაგისტრალური ხაზიც. გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „არალი '' აწარმოებს.

ხარისხიანი წყალი – მოსახლეობას!

ხარისხიანი სასმელი წყლის პრობლემა ყოველთვის იდგა და დგას ასპინძის მუნიციპალიტეტის მოსახლეების წინაშე. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა და გაწეული ხარჯებისა, ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მართებთ წყალმომარაგების სისტემის მესვეურებს, რომ ეს პრობლემა უკეთესობისაკენ შემოტრიალდეს. პრობლემა არა მარტო დაბის სინამდვილეშია, არამედ სოფლადაც. ამიტომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის დიდი ნაწილი პირველ რიგში მის გადაწყვეტას ითხოვს.

ამჟამად მუნიციპალიტეტის სოფლებში – საროში, საყუდაბელსა და აწყვიტაში აქტიურად დაიწყო და ინტენსიურად მიმდინარეობს სასმელი წყლის სათავე ნაგებობის, სისტემისა და გამანაწილებლების რეაბილიტაცია. რაც, იმედია, შესამჩნევად შეამსუბუქებს პრობლემას და მომავალში ამ მიმართებით მუშაობა კიდევ უფრო გააქტიურდება.

სანიაღვრე არხებს მეტი ყურადღება

არავინ არაა დაზღველი სტიქიური უბედურებებისაგან. გლობალური დათბობის ეპოქაში თითქმის ყველგან შეინიშნება სტიქიური მოვლენების გააქტიურება, რაც ისედაც შეჭირვებულ ხალხს მძიმე ტვირთად აწევს. ჩვენ არაერთხელ გავმხდარვართ იმის მოწმენიც, ხანგრძლივი წვიმებისა თუ სეტყვის გამო, რამდენჯერ დაზარალებულა მოსახლეობა, ზოგჯერ კი წყალუხვობისა და ნიაღვრების დაბალი გამტარიანობის გამო მოსახლეობა დიდ ზარალს ღებულობს.

მოსალოდნელი სტიქიით მიყენებული ზარალის თავიდან აცილების მიზნით მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, აქტურად მიმდინარეობს სანიაღვრე არხების მოწყობა, რომელიც სულ მალე დასრულდება. სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს ინდმეწარმე დავით ზედგინიძე.

ჯვარიძეების გვარის ისტორია

ჩვენი გვარის ისტორია მოსმენილი მაქვს ჩემს ბავშობაში ჩვენი დიდი პაპებისაგან და ბიძებისაგან – არჩილ და როსტომ მიხეილის ძე ჯვარიძეებისაგან, ნიკო და გივი სერგოს ძე ჯვარიძეებისაგან (გივი სერგოს ძე ჯვარიძეს შედგენილი აქვს ჯვარიძეების გენიოლოგიური შტო), თეიმურაზ არჩილის ძე ჯვარიძისაგან, სხვადასხვა ნაამბობები ჩავიწერე ალექსი სიმონის ძე ჯვარიძისაგან, ოთარ ვლადიმერის ძე ჯვარიძისაგან და, ნაწილობრივ, ზაურ გიორგის ძე ჯვარიძისაგან, ასევე ამირან შაოს ძე ჯვარიძისა და სხვა ადამიანებისგანაც, რომლებიც ჩვენი გვარის ისტორიას მიამბობდნენ და ამ გვარსაც ასეა თუ ისე გაკვრით მაინც ეხებოდნენ, მათი ისტორიის მცირე ნაწილი ამოკრეფილი მაქვს ალექსანდრე ფრონელის „დიდებული მესხეთიდან“, ქართლის მეფის – გიორგი XI-ის მემატიანის თხზულებიდან, ოღონდ სად და რომელ წიგნში, სამწუხაროდ ველარ ვიხსენებ.

ჯვარიძეების წინაპარს რქმევია ,,ხიზა“, ხოლო მის მეუღლეს ,,ხვარამზე“. არჩილ პაპა და როსტომ პაპა მეტყოდნენ, რომ ბავშვები, როცა ჭობარეთისა და ზველის ეკლესიებში მივდიოდით, მღვდლები გვარებს ლოცავდნენ და როცა ჩვენს გვარს მოიხსენიებდნენ, ამბობდნენ, რომ ჯვარიძეების წინაპრების – „ხიზასა და ხვარამზეს სული აცხონე უფალოო“. ჯვარიძეების წინაპრები ცხოვრობდნენ დღევანდელი არდაგანის მიდამოებში, მდინარე მტკვრის სანაპირო სოფელში, მაგრამ იქაური გვარი არავის არ ახსოვს. ომიანობის დროს ჩვენ გვარს ორასი მეომრის გამოყვანა შესძლებია ბრძოლის ველზე.

ერთხელ შემოსულა ,,ურუმი“, სავარაუდოდ თურქ-ოსმალთა ჯარი, სოფელი ციხესიმაგრეში გამაგრებულა, ურუმს ალყაში მოუქცევია, რამდენიმეთვიანი ბრძოლის შემდეგ, მეციხოვნეებს 16 წლის ახალგაზრდა ბიჭი ამოურჩევიათ და თავიანთთან მიუყვანიათ, ამ ბიჭის სახელი ცნობილი არ არის. მეციხოვნეებს მისთვის უთქვამთ: „შვილო, ჩვენი მშველელი არავინაა, ურუმი დღე-დღეზე ციხეს აიღებს, გადარჩენის იმედი არ გვაქვს, არავინ დაგვინდობს, ყველას ამოგვხოცავენ, ამიტომ ამაღამ შენ დარნით მდინარემდე გააღწევ, მის დინებას გაჰყვები და გადარჩები, ყველგან ურუმი ვერ შევა, ქართველები გამოჩნდებიან და თავი მათ შეაფარე, რომ ჩვენი გვარიდან ერთი მაინც გადარჩე. ყელზე კი ვერცლის ჯვარი ჩამოჰკიდეს და გააფრთხილეს, – ჯვარსაც არ უღალატოო.

ღამით ეს ბიჭი დარნის მეშვეობით მდინარის ნაპირზე ჩასულა და დინებას გაჰყოლია. გათენებისას დაინახა, თურმე, ქართველი ლტოლვილები, რომლებიც ბავშვებთან ერთად საქონელს მიერეკებოდნენ. მაშინ ლტოლვილებს ხიზნებს – გამოხიზნულებს უწოდებდნენ, რომლებიც თავიანთი სოფლებიდან აყრილიყვნენ. ეს ბიჭიც ამ ხალხს შეუერთდა. ერთ ადგილზე ხიზნები ხიდს მიადგნენ და, უეცრად, ხიდის მეორე მხარეს, ურუმის ცხენოსანმა ჯარმა ხალხს გზა გადაუჭრა, რომლებმაც მათი ხოცვა-ჟლეტა დაიწყეს, ნაწილი ტყვედ აყვანეს, მხოლოდ ძალზე მცირედნი გადარჩნენ, მათ შორის ის პატარა ყმაწვილიც, თუმცა ერთმა თურქმა ცხენოსანმა მაინც შენიშნა და დაედევნა მოსაკლავად. ამ ბიჭმა იმარჯვა და თურქს წვერიანი ქვა ესროლა და ცხენიდან გადმოაგდო, ამით ბიჭმა იხელთა და ხიდიდან წყალში გადახტა. მარტოდმარტო, ბევრი სიარულის შემდეგ, მოსულა სოფელ რუსთავში და შეხიზვნია ერთ ქართულ ოჯახს (რაც შეეხება არტაანის მხარეში ციხესა და მასში შეხიზნულ ხალხს, რა ბედი ენია, ჩვენთვის უცნობია). ამ ბიჭის სახელი „ხიზა“, სავარაუდოდ, ამ დროიდან ჩანს, ვინაიდან გამოხიზნული (ლტოლვილი) იყო და მათ ხიზნებს ეძახდნენ. ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ამიტომ დაარქვეს მას ხიზა (ხიზანი, გამოხიზნული). ხიზა 18 წლის რომ გამხდარა, დაუქორწინებიათ ადგილობრივ ქართველ გოგოზე – ხვარამზეზე. ეს სახელი ძველ დროში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. ეკლესიაში როცა მათ ჯვარს სწერდნენ, თურმე, მღვდელმა ჰკითხა, რა გვარისა ხარო. ხიზამ დახედა ციხესიმაგრეში ნაჩუქარ ჯვარს და თქვა: „მე ამ ჯვარის ძე, ჯვარიძე ვარო“. მღვდელმაც თავის წიგნში ამდაგვარად გაატარა იგი. ასე ეწოდა ჩვენს გვარს ჯვარიძე. მათ შვილებიც შესძენიათ და მშვიდად გაუგრძელებიათ ცხოვრება.

ხიზა შუახნის კაცი ყოფილა, როცა რუსთავში ურუმის ჯარი შემოსულა, მაგრამ მოსახლეობა არ აუწიოკებიათ, თუმცა თურქული მმართველობა დაუწესებიათ. ერთხელ ხიზა ერდოზე მჯდარა და დაუნახია კოჭლი თურქი მათხოვარი, რომელიც, თითქოს ამოიცნო, დაუძახია თავისთან და უკითხავს, – ვინ იყო და საიდან. თურქს უთქვამს, – ახალგაზრდობაში მეომარი ვიყავი და ხიდზე (მიუთითებია ხიდის სახელი) ქართველმა ბიჭმა დამჭრა და დამაინვალიდაო, ამის მერე სამხედრო სამსახურისთვის აღარ ვარგოდი და ასე გავმათხოვრდიო. ხიზას უთქვამს, ჩემს ქვას მიზნისთვის მიუღწევიაო, თუმცა შესცოდებია და პურიც უჭმევია, ფულიც მიუცია და ისე გაუსტუმრებია. გასულა საკმაოდ ხანი, ამის შემდეგ ჯვარიძეები როგორ ცხოვრობდნენ, უცნობია, მხოლოდ გიორგი XI-ის მემატიანის ჩანაწერიდან ჩანს, რომ, თავდაპირველად, გიორგი უფლისწული ქართლში ვერ გამეფებულა და ირანში წასვლამდე, ახალციხეში მჯდომ თურქების ფაშასთან მოსულა დახმარების სათხოვნელად, ის მხლებლებთან ერთად ქართლიდან თრიალეთის გზით წამოსულა დღევანდელი ასპინძის რაიონის სოფელ ოშორაში მოსულა, სადაც ღამე დარჩენილა და დილით ახალციხის გზას გასდგომია. სოფელ რუსთავში როცა მისულა, იგი დაცარიელებული დახვედრია, მხოლოდ ერთი მოხუცი ქალი დახვედრია და მისთვის უკითხავს, – ხალხი სად არისო. ქალს უთქვამს: ჯვარიძეებმა გადასახადის თურქი ამკრეფები დახოცეს და შიშით სოფელიც გაიხიზნა, რადგან თურქები ამას არ აპატიებენო. რაც შეეხება სოფელ რუსთავს, 1944 წელს, როცა მესხეთიდან მაჰმადიანები გადაასახლეს, ამ სოფელში ცხოვრობდნენ მხოლოდ თარაქმები და არც ერთი ე.წ „თურქი მესხი“ არ ყოფილა. სავარაუდოდ, სოფელი რუსთავი ქართველებისაგან დაიცალა გიორგი XI-ის მესხეთში შემოსვლის შემდეგ და თურქებმა იქ დაასახლეს თარაქმები.

აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ ჯვარიძეები უკვე ჩანან ასპინძის რაიონის სოფელ ახაშენში (ამჟამად ნასოფლარი), სადაც საკმაოდ დიდხანს უცხოვრიათ, მაგრამ თუ როგორ, უცნობია. ამის შემდეგ ჯვარიძეები საცხოვრებლად ამოსულან დღევანდელ სოფელ ზველში, სადაც სოფლის მღვდელს, ზედგინიძეს, მათთვის მიუცია მიწები და მღვდლის ოჯახთან (მათიენთთან) და მათ სანათესაოსთან ნათლიობაც ჰქონიათ. იმის შემდეგ მომრავლებულან ჯვარიძეები და თურქების მმართველობის პერიოდში არც თუ ისე ცუდად უცხოვრიათ. ამასობაში მეფე ერეკლე შემოვიდა მესხეთში და მოხდა ასპინძის ომი. ერეკლეს შემოსვლას ქართული მოსახლეობა სიხარულით შეხვედრია და ბევრი ქართველი მის დასახმარებლად წასულა, სავარაუდოდ, მეფესაც უწევდნენ მეგზურობას. მათ აქტიურად ამოსდგომია გვერდში მღვდელი ზედგინიძეც, რომელიც ამხნევებდა თურმე. ახლგაზრდობის დიდი ნაწილი გაჰყოლია მას და ერეკლესთან მისულან. ამასწინათ გაზეთ „ლიტერატულურ მესხეთში“ გამოქვეყნდა ვახტანგ სუდაძის ჩანაწერები, სადაც ამოვიკითხე, რომ ერეკლე მეფესთან დასახმარებლად მისულა ერკოტელი ნიკო ჯვარიძე. აქ, ჩამწერს, შეცდომა აქვს დაშვებული, მას ალბათ სოფელი შეეშალა და ზველის ნაცვლად ერკოტა ჩაწერა. თუ ნიკო ერკოტელი იყო, ის ან ბერიძე იქნებოდა ან ტივაძე, რადგან ჩვენ არ გაგვიგია არასოდეს, რომ ჯვარიძეებს ერკოტაში ეცხოვროთ, მითუმეტეს, იმ დროს ჯვარიძეები მხოლოდ ზველში ცხოვრობდნენ და დღეს თუ ვინმე ჯვარიძე სადმე არსებობს, მხოლოდ ჭობარეთიდან არიან წასულები, რადგან ისინი მოგვიანებით ზველიდან ჭობარეთში გადასახლებულან, გარდა გორში მცხოვრები ჯვარიძეებისა, რომლებიც ზველიდან არიან წასულები და ჭობარეთში არ უცხოვრიათ. 1770 წელს, ასპინძის ომში ქართველების გამარჯვების შემდეგ, თურქები გამძვინვარებულან, შემოუღიათ რელიგიის გადასახადი, რომელიც წელწადში 35 ყურუში ყოფილა, ანუ მართლმადიდებელი ქართველი ვალდებული იყო თურქებისათვის ეხადა აღნიშნული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიწას გაუყიდიდა ყადი, უმიწოდ დარჩენილი გლეხის ოჯახი კი სასიკვდილოდ იყო განწირული. თათრების შეურაცხყოფისთვის კი სიკვდილით ისჯებოდა ყველა. თუ ქართველი მოლას ლოცვის დროს დასცინებდა, სიკვდილი არ ასცდებოდა, თურქები, რატომღაც, ჯვარიძეებს ძალიან ცუდად გადაჰკიდებიან – მათ უკრძალავდნენ ყველაფერს, – ნათლობას, ჯვრისწერას და სხვ, თუმცა ისინი მალულად ჯვარს მაინც იწერდნენ და ინათლებოდნენ ზველის ტყეში. ახლა იმ ადგილს „მონათლულებს“ ეძახიან. ქალებს ჩაცმევდნენ კაცურად, ბავშვებს ჩასვავდნენ გოდრებში, გადაჰკიდებდნენ ვირებს და გაუშვებდნენ ტყისკენ. ვირები ისე იყვნენ მიჩვეულები, რომ პირდაპირ „ნინოწყაროებთან“ ჩერდებოდნენ, მღვდელიც თავის ვირს გადაჰკიდებდა ხურჯინს, შიგ ჩააწყობდა საჭირო ინვენტარს, ზედ დააწყობდა ვითომდა გასარეცხ ტანსაცმელს და წავიდოდა „ნინოწყაროებზე“, ვითომ სარეცხის დასარეცხად. კაცები და მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი ქალებიც გაჰყვებოდნენ მათ, ვითომ ვირების საძებნელად. „ნინოწყაროებიდან“ „მონათლულებამდე“ მცირე მანძილი იყო, მღვდელი და ხალხიც იქ მივიდოდა და ფარულად ტარდებოდა ნათლობისა და ჯვრისწერის რიტუალები. ხალხმა სხვა გამოსავალიც ნახა – ფარულად ერთი ძმა მაჰმადიანობას მიიღებდა და ფარულად ქრისტიანად რჩებოდა, გადასახადსაც აღარ იხდიდა. როცა ამ ძმის ოჯახი ცალკე გამოეყოფოდა, ძირითად ოჯახს მერე ექმნებოდა პრობლემები. გამაჰმადიანებული ოჯახი გადასახადს არ იხდიდა, ხოლო ქრისტიანი ვალდებული იყო გადასახადი ეხადა. გამაჰმადიანებული კაცის შვილები უარს აცხადებდნენ ქრისტიანების პატრონობაზე, მათ დაფარვაზე და ეს გრძელდებოდა დაუსრულებლად, ასე დაემართათ ჯვარიძეებსაც, ჯერ ერთი შტო გამოეყო, რომლებსაც „ყოჩვიენთ“ უწოდებდნენ, შემდეგ – „მჭედლიენი“. მათი ოჯახის უფროსი მჭედელი იყო და სახელი „მჭედლიენი“ აქედან მომდინარეობს. მჭედელს მოჩვენებითი მაჰმადიანობა მიუღია (დასვინათებულა), მაგრამ ფარულად ქრისტიანად დარჩენილა. როცა იგი გარდაცვლილა და დაუკრძალავთ, მეორე ღამეს მისი საფლავიდან, თურმე, ნათელი ამოსულა. მოლას უთქვამს: – „ხედავთ, ამ ქოფაგოღლიმ მოგვატყუა, ქრისტიანად გარდაცვლილა და ფარულად ქრისტიანულად აუგიათ

გაგრძელება მე–4 გვ.

მარალის მიუხედავად, მაინც იმედიანად ვართ

ასპინძის ე.წ.ბალნეოლოგიური აბანოები ოდითგან თავისი სამკურნალო თვისებებით განთქმული იყო როგორც რეგიონში, ასევე რესპუბლიკის მასშტაბითაც, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, ალბათ, არც ის იცის, რომ იგი დიდი ხნის მანძილზე მდებარეობდა კუსტარულად ნაგებ, ყოველგვარ ჰიგიენურ ნორმებს მოკლებულ ძალზე პატარა შენობაში და, ამის მიუხედავად, მას სამკურნალო დანიშნულებისათვის მაინც იყენებდნენ.

დროთა განმავლობაში, აღნიშნულის ბაზაზე, გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს აშენებული იქნა ახალი კაპიტალური შენობა (დღევანდელი სახით) და იგი გადაკეთდა „ბალნეოლოგიურ კურორტად“. თანდითანობით აშენებული იქნა ასევე ვიზიტორთათვის ორსართულიანი შენობა, სასადილო, ადმინისტრაციული ობიექტი და სხვ. ბოლო წლებში კი სრულიად შეიცვალა მისი იერსახე, კეთილმოეწყო ბანლეოლოგიური კურორტის მთელი სივრცე, მისასვლელი გზა, კაპიტალურად გარემონტდა დაკიდული ხიდი, მოასფალტდა შემოვლითი გზა და ა.შ.

ბალნეოლოგიური კურორტის ძირითადი სამკურნალო ფაქტორია მინერალური წყალი, რომელიც წარმოადგენს თერმულ, სუსტად მინერალიზებულ ჰიდროსულფიდ-ქლორნატრიუმ-კალციუმის მარილების შემცველ წყალს, რომლის მინერალიზაცია 0,9 გ/ლ-ია, ტემპერატურა ჭაბურღილის პირზე – 42,5 გრადუს ცელსიუს აღწევს, წყლის დებეტი კი 2,3 ლიტრია წამში.

მინერალური წყლის სამკურნალო ჩვენებებია:

– ქრონიკული ართრიტების: ინფექციური, რევმატიული, ტრამვული და ენდოკრინული წარმოშობის;

– მსუბუქი ფორმის სპინდილოზები და სპინდილოართროზები;

– ჰიპერტონული დაავადება პირველ სტადიაში;

– თრომბოფლედიტების პირველი სტადია (მწვავე პერიოდიდან არაუადრეს სამი თვისა);

– პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები (ნევრიტები, ნევრალგიური, რადიკულიტი და სხვ.).

– საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოების (სახსრების), გინეკოლოგიური და კანის ზოგიერთი ქვემწვავე

და ქრონიკული დაავადებები.

„კურორტი ასპინძა“ ფუნქციონირებს სეზონურად პირველი მაისიდან პირველ ნოემბრამდე, ხოლო სააბაზანო – მთელი წლის განმავლობაში, რომელსაც ემსახურება სხვა მომსახურე პერსონალთან ერთად გამოცდილი ექიმი. სრული დატვირთვით ფუნქციონირებისას დამსვენებლებისათვის შექმნილია კვების ბლოკი და ა.შ.

წლების განმავლობაში „კურორტ ასპინძაში“ მკურნალობენ და ისვენებენ, როგორც აღინიშნა, რეგიონისა და ასევე საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან დამსვენებლები; ასევე ნიშანდობლივია, რომ სეზონის პერიოდში ყოველთვის ჩამოდიოდნენ და ჩამოდიან (წლევანდელი სეზონის გარდა) სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის (კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებიდან) და თურქეთიდანაც დამსვენებლები. აქვე ხაზგასასმელია, რომ ყოველწლიურად დამსვენებელთა რაოდენობა 300-ის ფარგლებში მერყეობს და მაღალკვალიფიციურ მომსახურებასაც ვუწევთ. სწორედ ამან განაპირობა, რომ დინამიურად იზრდება ვიზიტორთა რაოდენობაც. დამსვენებელთა ასაკი ყველაზე მეტად 55-75 წლის ასაკში მერყეობს, თუმცა ახალგაზრდებსაც შევხვდებით და უფრო ხანდაზმულებსაც. წლევანდელი საკურორტო სეზონისთვის მზადება ადრეული გაზაფხულიდანვე დავიწყეთ, მაგრამ კორონა-ვირუსის პანდემიის გამო ამა წლის 22 ივნისამდე მთლიანად გვქონდა შეჩერებული მისი ფუნქციონირება, ახლახან, შეზღუდვების მოხსნის მიუხედავად კი დამსვენებელთა ნაკადის მატება აღარ შეინიშნება, უფრო მეტიც, ჩვენ მიერ საკურორტო სენონის მოსამზადებლად დიდი ოდენობის ფინანსებიც გავიღეთ, მაგრამ უკუგება არაფერში არ მიგვიღია, მსგავსი პრობლემები კურორტის არსებობის მანძილზე კი არც

არასოდეს გვქონია. ალბათ, მათზე შიშის ფაქტორიც მოქმედებს. ყოველივე ეს კი კრიზისულად აისახა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, რამაც განსაკუთრებული უარყოფითი გავლენა მოახდინა მომსახურე პერსონალის ეკონომიურ მდგომარეობაზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კურორტის აბაზანების გამოყენება ყველასათვის ხელმისაწვდომია, სხვა კურორტებთან შედარებით აქ ყოველთვის დაბალია მომსახურების ტარიფები, რაც იმის იმედს იძლევა, რომ საკურორტო სეზონის დარჩენილ პერიოდს, თუ პანდემია არ გააქტიურდა, ოპტიმალურად გამოვიყენებთ და უმნიშვნელო, მაგრამ კურორტისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შემოსავლები მცირედით მაინც გაიზრდება. ამ რთული მდგომარეობის მიუხედავად იმედი არ დაგვიკარგავს, რადგან, გვჯერა, პანდემიაც ჩაივლის და ჩვენი ეკონომიკაც გამოსწორდება.

თამაზ ჩიგოგიძე,
კურორტ „ასპინძის“ დირექტორი

ფარსულის ფურცლები

ასპინძის რაიონული საავადმყოფო.გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურული

ინფორმაცია

იმედს ვიტოვებთ

საზოგადოება კარგადაა ინფორმირებული, რომ „კორონა ვირუსის“ პანდემიის გამო, განუსაზღვრელი ვადით აკრძალული იქნა მასობრივი სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარება. თუმცა, ამ ცოტა ხნის წინათ აკრძალვების, გარკვეულწილად, მოხსნის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური აქტიურად შეუდგა სხვადასხვა კულტურული თუ სპორტული ღონისძიებების ჩატარებისათვის სამზადისს, კერძოდ, უახლოეს მომავალში დაგეგმილია მუნიციპალური პირველობის ჩატარება ნარდში (აგვისტო), ფეხბურთში (აგვისტო-სექტემბერი).

მუნიციპალიტეტის მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდები შეუერთდებიან რეგიონულ პირველობას ფეხბურთში, რომელიც 15 აგვისტოდან დაიწყება და წლის ბოლომდე გამოვლინდებიან გამარჯვებული გუნდები მოყვარულთა ლიგის რეგიონულ ეტაპზე.

მოგვიანებით, სექტემბრის თვიდან, სამსახური აქტიურ ორგანიზებას გაუწევს „სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა 2020-21-ის“ შვიდ სასპორტო სახეობაში (ფრენბურთი, ფეხბურთი, კალათბურთი, გეზრბენი, მაგიდის ჩოგბურთი, ხელბურთი, მხიარული სტარტები).

ასევე დაგეგმილია 2008 წლის აგვისტოს ომის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც პატივს მიაგებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირებს და კიდევ ერთხელ გაიხსენებენ აგვისტოს ომის მძიმე დღეებს.

12 აგვისტოს, ტრადიციულად, საზეიმოდ აღინიშნება ცოტნე დადიანის ხსენების დღე. ამასთან დაკავშირებით სოფელ დამალაში, კოხტას ციხეზე, გაიმართება კულტურული ღონისძებები.

მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური მომავალშიც არაერთ ღონისძიებას გეგმავს და იმედს ვიტოვებთ, ქვეყანაში შექმნილი ეპიდ-მდგომარეობა არ გართულდება და გეგმების განხორციელების საშუალებაც მოგვეცემა.

პაატა ქავთარაძე

მესხური წესჩვეულებები

გოგოს გათხოვების და დანიშვნის წესები

გოგო რომ გათხოვდება, ბიჭის მხარეც მოიწვევს ნათესავებს. ორივე მხარე შეძლებისდაგვარად თანასწორად ემზადება ქორწილისათვის. საღამოთი შეკრებდნენ მაყრებს. ყველა უნდა ყოფილიყო, ვინც ქორწილში იყო დაპატიჟებული. ამ დროს ნათლია უკვე დასახელებულია. დილით გაისტუმრებდნენ მეფეს და მაყრიონს ცხენებით. მანამდე, ვიდრე მეფეს ცხენზე შესვამდნენ, სიმღერას ეუბნებოდნენ:

„წადი მეფევ, გაგიმარჯოს,
დღე მოგცეს და დარი კარგი,
სამოთხისა კლიტე მოგცეს,
უთვალავი მარგალიტი“.

ამ დროს სახლის პატრონი, – რომელიმე რძალი, კლიტით დაჰკეტავდა სახლს, მეფის სახელზე რომ არავინ უმტროს. მეფე რომ დაბრუნდებოდა, მაშინ გახსნიდა ისევ ის ქალი (რძალი) ვინც დაკეტა.

მეფე რომ მივიდოდა გოგოს სახლში, გოგო სხვა სახლში უნდა ყოფილიყო გადამალული. სანამ პარტარძალს არ შეკმაზავდნენ, მეფესთან ისე არ მიიყვანდნენ. წინ მიეგებებოდა მახარობელი და იტყოდა:

„მე ვარ მახარობელი,
სახლის გამხარებელი,
დაგვიცალეთ დარბაზი,
მეფე მოგვყავს ლამაზი“.

მახარობელს წინდებს აჩუქებდნენ და მისცემდნენ შამფურს მწვადით.

დედოფალს რომ მოიყვანდნენ, მაშინვე ეკლესიაში მიჰყავდათ ჯვრის დასაწერად. ჯვრის წერიდან დაბრუნებულები, შემოვიდოდნენ პატარძლის სახლში და გაიმართებოდა ქორწილი. სადღეგრძელოები იყო სუფრას რომ გახსნიდნენ. სანამ მამაოს არ იტყვოდნენ, პურზე ხელს არავინ მიჰყოფდა. პირველ რიგში ოჯახის სადღეგრძელო უნდა თქმულიყო, შემდეგ მეფე-დედოფლის, ნათლიის, მშობლების, ნათესავების, განაყოფების, მეზობლების. სადღეგრძელო დამთავრდებოდა სამება-ერთარსება ღვთის მშობელი შეგეწიოსო და გაიმართებოდა ლხინი-თამაშობა დუდუკებზე (დაფა-ზურნა კი მაშინ, როცა ფერხულს ჩააბამდნენ).

მეფის სადღეგრძელო რომ იქნებოდა, სამადლობელს ნათლია გადაიხდიდა. ნათლიის სადღეგრძელოს სამადლობელს ისევ ნათლია იხდიდა. მშობლების სადღეგრძელოს დროს ორივეს მშობლები დაილოცებოდა. თამადა დააკისრებდა ან მეფის მამას ან დედოფლისას:

„სადღეგრძელო
სადღეგრძელოა,
განა ჩვენს ენითა,
ღვთის შეწევნითა.
მიმინო მყავდა,
მყავდა მიყვარდა,
სხვისა გვეგონა,
ჩვენი გამოდგა.
ოთხი წყარო სდის,
ოთხი მხრით მოდის,
მითი მოირწყვის
ყოველი მხარე.
(სამჯერ იმეორებდნენ).
ინებოს ღმერთმა
მათი სიცოცხლე“.

მშობლებს რომ ადღეგრძელებდნენ, დედოფლის დედა ან მშობლის მოვალეობას ვინც ასრულებდა, მეფეს ჭიქას გაუგზავნიდა. ბეჭედს კი ჩააგდებდა ჭიქაში. მეფე ადღეგრძელებდა არაყით სიდედრს. დალევდა, ჭიქიდან ბეჭედს ამოიღებდა, თითზე გაიკეთებდა და ჭიქაზე ფულს დასდებდა. სანიჭარს (ფულის ან ნივთის ჩუქება) გამოაცხადებდა ერთ-ერთი ვინმე. ოჯახი თავის ქალიშვილს ატანდა კიდობანს თავის შემკულობით – (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი), ლოგინი, ფარდაკი. აცხადებდა – ამა და ამ ნათესავს მოურთმევია ეს და ეს ნივთი... ფული. კიდობანს შემოიტანდა პატარძლის მცირეწლოვანი ძმა ან ბიძაშვილი. ისინი ჯდებოდნენ კიდობანზე და აღარ დგებოდნენ, ვიდრე მამამთილი ბავშვს საჩუქარს არ მისცემდა.

პატარძალს გამოიყვანდნენ და ისევ მღეროდნენ:

„წადი, მეფევ გაგიმარჯოს“....

გზაში აგებდენ სუფრას, ზოგი დედოფლის ნათესავი და ზოგიც მეფისა. ქორწილის სუფრიდან მოჰქონდათ სასმელ-საჭმელი. შემდეგ მივიდოდნენ აჯილაკზე დასაჯდომად. იქ ბავშვები იწვნენ და სანამ საჩუქრებს არ მისცემდნენ, იქამდე არ დგებოდნენ. შემდეგ მიდიოდნენ აჯილაკთან, მეფე და ნათლია დაჯდებოდა, პატარძალი ფეხზე იდგა. მამამთილი ან მაზლი მივიდოდა და ეტყოდა: დაჯექი შვილო, მიჩუქებია ხარ-კამეჩი ან საოჯახო ნივთი. და იმართებოდა ქორწილი.

პატარძალს წამოღებული ჰქონდა ჩასაცმელი, წინდები და ა.შ. შინაურების ბავშვებს ჩაუსვამდნენ კალთაში და ისიც დაასაჩუქრებდა მათ. ყოველ სადღეგრძელოს სამადლობელი სიმღერა, მრავალჟამიერი მოჰყვებოდა.

მეორე დღეს იქნებოდა სანიჭარი. პატარძალს აცეკვებდნენ და აძლევდნენ საჩუქრებს. ჩაებმებოდნენ შვიდი წყვილი ფერხულით, ყველა თავისი ცოლით უნდა ჩაბმულიყო. მესამე დღეს გამოაცხობდნენ ბიშს. დედოფლის მაყრები უნდა ყოფილიყვნენ ან სამი ან ხუთი, მეტი არ შეიძლებოდა.

მეფის მამას უნდა გამოეწვია პატარძლის მამა რომელიმე დღესასწაულზე – აღდგომაზე, ყველიერზე, შობაზე ან სხვა დღესასწაულზე. ისინი წინასწარ ატყობინებდნენ, რომ პატარძლის მამა მოვიდოდა შვილის სანახავად. მათთან ერთად უნდა მოეწვიათ აუცილებლად ნათლია. მეფის მამა თავისთან ლხინზე იწვევდა იმათ, ვინც ქორწილში ჰყავდა მიპატიჟებული, მხოლოდ ახლო ნათესავებს ეძახოდნენ. მოყვარეს თავისთან მიიწვევდა ოჯახის განაყოფები, მეზობლები, ნათესავები, ნათლიები და პატივს სცემდნენ.

ჩვენთან კაცს ეტყოდნენ მოყვარეს, ქალს კი – მძახალს.

***

ძმა-ძმას რომ გაჰყროდა, ძალიან სირცხვილი იყო. ერთად უფრო შეძლებულად ცხოვრობდნენ, ეწეოდნენ მომთაბარე ცხოვრებას. სახლში ორი ქალი მაინც უნდა ყოფილიყო. ერთი მთაში მიდიოდა, მეორე სახლში რჩებოდა.

სახლის კარი დღისით არ უნდა დაკეტილიყო. სახლში ვიღაცა მაინც უნდა ყოფილიყო. თუ არავინ იქნებოდა სახლში, ოჯახის უფროს წამოაძახებდნენ: შენ კაცი არა ხარ, შენი სახლის კარი დაკეტილიაო. პატარძალს რომ რაიმეს თქმა უნდოდა სახლში, ბავშვს დაუძახებდა და იმის საშუალებით გასცემდა ხმას. პატარძალი მამამთილს ფეხსაცმელს ხდიდა. სანამ მამამთილი და დედამთილი არ დაწვებოდნენ, პატარძალი ვერ დაწვებოდა. პატარძალს უნდა ეცადა თუ ოჯახიდან ვინმე სადმე იყო წასული, სანამ არ დაბრუნდებოდა სახლში, იქამდე არ უნდა დაწოლილიყო.

ჩაწერილია არჩილ ჯვარიძისაგან, 63 წლის. ასპინძის რაიონი სოფელი ჭობარეთი. ჩაიწერა ზინა ზედგინიძემ 1966 წელს

ჯვარიძეების გვარის ისტორია

მე–3 გვერდიდან

წესი, თორემ მისი საფლავიდან ნათელი არ ამოვიდოდაო“. ბოლოს დარჩა ორი ძმა – ალექსი და პავლე. როგორც ალექსანდრე ფრონელი „დიდებულ მესხეთში“ აღწერს, მათ გადასახადის გადახდისათვის ფული რომ მოეგროვებინათ, ჯერ ორი-სამი წელი ორგორიდან ზურგით კირი უზიდიათ ახალციხეში გასასყიდად და ისე გადაუხდიათ გადასახადი, მომდევნო წელს ახალციხელი კათოლიკე მღვდელი დახმარებია და ერთი წლის გადასახადიც იმას მიუცია, შემდეგ – სოფელ ზველის მღვდელი დახმარებია, ბოლოს, გამოსავალი რომ აღარ დარჩენია, ერთ-ერთ ძმას ასევე მოჩვენებით მაჰმადიანობა მიუღია, რომ გადასახადისაგან ოჯახი გათავისუფლებულიყო. თათრებს ალექსისთვის „ღიღინაი“ დაურქმევიათ, რადგან ლოცვებს ღიღინებდა, რომ არ დავიწყებოდაო, ხოლო პავლესთვის – „ბადალაი“, რადაგან მისი ბადალი იმ დროს არავინ ყოფილა, ეს უბედურება, როგორც აღვნიშნეთ, 1770 წელს დაიწყო და გაგრძელებულა 1828 წლამდე. ამ პერიოდში სამი თაობა გაზრდილა. ბოლოს ამ უბედურებას წერტილი დაუსვა რუსმა გენერალმა პასკევიჩმა – 1828 წლის 27 აგვისტოს აიღო ქალაქი ახალციხე და მესხეთი ხელიდან გამოჰგლიჯა თურქებს, ახალციხის აღება თავის ლექსში მშვენივრად აღწერა სახალხო მთქმელმა შაო ჯვარიძეს. ეს ლექსი გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“. ახალციხის გათავისუფლების შემდეგ მესხეთში მცხოვრები ქართველების ნაწილი, რომლებსაც ზოგს მოჩვენებითი და ზოგსაც რეალურად მაჰმადიანობა ჰქონდათ მიღებული, ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდნენ, ზოგიც მაჰმადიანად დარჩა. იმ გვარებსა და ოჯახებს, რომლებსაც მოჩვენებითი მაჰმადიანობა მიუღიათ და შემდეგ ქრიატიანად მოინათლნენ, შეგნებულად, სხვადასხვა მოსაზრებების გამო, ვერ ვაქვეყნებთ, მაგრამ ფაქტია, თითქმის ყველა გვარს, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, მოჩვენებითი მაჰმადიანობა ჰქონდა მიღებული,

მესხეთის გათავისუფლების შემდეგ ბევრი გათურქებული ქართველი გაიქცა თურქეთში, თითქმის დაიცალა სამცხე-ჯავახეთი, ასეთივე ბედი ეწია სოფელ ჭობარეთსაც, სოფელში დარჩენილა მხოლოდ ორი ოჯახი, რომლებმაც გადაინაწილეს სოფლის მიწები. მეფის მთავრობამ სამცხე-ჯავახეთში ყარსიდან და არზრუმიდან აქტიურად დაიწყო სომხების მასიური ჩამოსახლება, რუსეთიდან კი – დოხობურების, ასევე ქართველების უმნიშვნელო რაოდენობა გადმოსახლდა ქართლის რეგიონიდან. ამიტომაც გავრცელებულია მესხეთში თქმულებები, თითქოს მათ წინაპრებს, მაინცდამაინც, თურმე ბატონები ჰყავდათ მოკლულები, რაც არასწორია! რაც შეეხება ჩვენს გვარს, გავრცელებულია მოსაზრება, თითქოს ჩვენ მჭედლიძეები ან მჭედლიშვილები ვყოფილვართ, ესეც არასწორია, ეს აზრი წარმოიშვა ჩვენი გვარის განაყრების – „მჭედლიეენთ“ ფაქტორიდან. 1842 წელს მეფის რუსეთის მთავრობამ მესხეთში ჩაატარა მოსახლეობის აღწერა, შეადგინა საკომლო და საადგილმამულო წიგნები, სადაც რეგისტრაციაში გაატარეს მოსახლეობის საკუთრებაში არსებული მიწები და ა.შ.. ასეთი აღნერა ზველშიც ჩატარდა, სავარაუდოდ, აღწერებით გამოწვეული გაუგებრობის გამო მჭედლიენთსა და ალექსი და პავლე ჯვარიძეების ოჯახებს შორის მიწების გამო მოხდა კონფლიქტი, ბოლოს საქმე ასე მოგვარდა: ზველში არსებული მიწები დარჩათ მჭედლიენთ, ხოლო ჭობარეთში – პავლესა და ალექსის ოჯახებს. ამის შემდეგ მჭედლიენი ისე განაწყინებულან, რომ მეფის მოხელეებისთვის საკომლო წიგნებში გვარად ჩაუწერინებიათ თავიანთი ხელობიდან გამომდინარე, გვარი „მჭედლიძე“ და ჩვენს გვარზე უარი უთქვამთ. სწორედ აქედან მომდინარეობს აზრი, თითქოს, ჯვარიძეები ადრე მჭედლიძეები იყვნენო.

გიორგი ჯვარიძე

გაგრძელება იქნება

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია